# ფანტაზია

№10 (81) 1998

21-26 აპრილი | ი/ს „ფანტაზიის" შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 20 თეთრი

## რეპლიკიან- (ფრჩხილიანი) კროსვორდი

სხვათა შორის — სიტყვა „რეპლიკა" სულაც არ გულისხმობს „ლიკას", რომელმაც „რეპი" იცეკვა და РЕПКА (რუს.კავშ.) უყვარს



**თარაზულად:** ***1.*** მერქნიანი მცენარეების შემსწავლელი ბოტანიკოსი. ***7.*** შინაური პირუტყვის საკვების... "კონფიგურაცია". ***8.*** რა აქვს დამწყებ მსახიობ გოგონას თამაზ ჭილაძესთან? ***9.*** პაწაწკინტელა ქიმიური ნაწილაკი. ***10.*** ტიპიურად გეომეტრიული ცნება. ***11.*** ჩვენთვის (სიმდიდრით და დონ-ჟუანობით) კარგად ცნობილი ვინმე ბერძენი. ***12.*** კიდევ ერთი ცნობილი ვინმე (ჩვენთვის!)... ოღონდ ესპანელი (...და თანაც მხატვარი!) ***14.*** ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა. ***16.*** მდინარე რაინის (...და არა რიონის!) მარცხენა შენაკადი (...და არა მარჯვენა!) ***18.*** რუსი საბჭოთა სატირიკოსი "ნახევარ" მწერალი. ***19.*** პა-ა-ა-წაწა ქალაქი ირკუტსკის ოლქში. ***20.*** შობასთან დაკავშირებული (ტიპიურად) გურული ცნება. ***21.*** ებრაელთა საღვთო წიგნი. ***23.*** (ოჰ, ამ სიმეტრიულ კროსვორდს რა ვუთხარი! – რედ.) ...აზრი, ჩანაფიქრი. ***25.*** აფრიკის ერთი "აღმოსავლურ-ქრისტიანული" სახელმწიფოს მეორე სახელი. ***26.*** ალაზნის შენაკადი (მარცხენა თუ მარჯვენა? –რედ.) ***30.*** მომრგვალო ფორმის ჯირკვალი, კეთილთვისებიანი სიმსივნე. ***31.*** დიდი ჩრდილოამერიკული სახელმწიფოს ქალაქი. ***32.*** მუსლიმანური თემის მეთაური. ***33.*** ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახი ტუჩოსანთა (?! – რედ.) ოჯახისა. ***34.*** ყოფ. საბჭოელი "ჯენტლმენების" ქალაქი. ***35.*** სუბიექტი, რომელიც ქვეყნის აღსრულების წინ უნდა მოგვევლინოს ჩვენ (ვითომდა... – რედ.)

**შვეულად:** ***1.*** სუბიექტი, რომელსაც საკუთარი სისხლი არ ენანება სხვისთვის. ***2.*** ტყავის შემცვლელი. ***3.*** სისხლის პლაზმაში შეწონილი ერთ-ერთი ელემენტი. ***4.*** (ყოფ.) საკავშირო მნიშვნელობის სამთო კურორტი (ჩვენს მოძმე და მეზობელ – რედ.) აზერბაიჯანში. ***5.*** სოფელი ცხინვალის მახლობლად. ***6.*** ფასიანი ქაღალდების და (თუნდაც ფულის), ასე ვთქვათ, "ნებაზე მიშვება". ***12.*** სუბიექტი, რომელიც კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობას კისრულობს. ***13.*** წერის უნარის დაკარგვა სრულად ან ნაწილობრივ (...აგრეთვე დაჭკარგვიათ მავანთ, აგრეთვე! – რედ.) ***14.*** სიტყვა, რომელიც "ირიბად" ითქმის, მაგრამ ზუსტად ურტყამს. ***15.*** სამი სუბიექტის კავშირი. ***16.*** ებრაელთა მითიური მამამთავარი. ***17.*** საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების აკრძალვა. ***21.*** ზამთარში ერთობ გამოსადეგი ინვენტარი... ჩრდილოეთ ქვეყნებში. ***22.*** როგორც ვარაუდობენ... XX საუკუნის უდიდესი ადამიანი. ***24.*** მხოლოდ ამა თუ იმ რეგიონში გავრცელებული მცენარე ან ცხოველი. ***27.*** დუმფარისებრთა ოჯახის ტროპიკული მცენარე. ***28.*** სისხლნაკლებობა (...რამდენჯერ ჩაგვიწერია, არა, კროსვორდში – რედ.) ***29.*** "მგელი უნდა იყო და მგელზე უფრო მგელიო..." რომელი ფილმი ქადაგებს ასეთ (ანტიეროვნულ – რედ.) აზრს?

**კროსვორდი შეადგინა მიხეილ კვეზერელმა (ფრჩხილში ჩანართები გვეკუთვნის ჩვენ – რედ.)**

**თარაზულად**: 2. მალარიის კოღოს „დამბრედავი" თევზი. 7. ომის დროინდელი იტალიელი ფაშისტის „კლიჩკა". 8. რევაზ ლაღიძის **Folk**-„კომპოზიცია" (ოპერა – რედ.). 9. მეცნიერი „მასტების" ოპტიკური ინვენტარი. 10. აფრიკული სახელმწიფოს „გლავნი" ქალაქი. 11. სხვისი ფულის პროცენტებზე მცხოვრები ფრანგი „როჟა". 13. XIX საუკუნის ფრანგი მხატვარი-გრაფიკოს–„კლიენტი". 14. ერთდროს ყველაზე „საკაიფო" ფერადი ტელევიზორი. 16. XIX ს. ინგლისელი მწერალი „ნაშა" (უკაცრავად მასთან – ქალი!). 18. დღეს „გასიაფანდებული" აფხაზური წარმოშობის ხაჭაპური. 19. ჩვენი შოპ-ტურისტების „საგულაო" ქალაქი სირიაში. 20. რა „ასწორებს" ლამაზ ქალთან კონტაქტისას? 21. დაწესებულება, საიდანაც ზოგი (ზოგი-მეთქი!) აღმზრდელი ბავშვების საჭმელს „ტეხავს". 23. პეპიას როლის შემსრულებელი ფილმში „გლახის (უკაცრავად!) ნაბლატავები" 25. ესპანელი დაწყვილებული „ტიპების" ცეკვა. 27. ტბა, რომელიც აფხაზებმა „დაგვაწერეს". 28. ციმბირის „რივა" (**River** – მდინარე). 30. „გოიმებისათვის" პამპერსების შემცველი, ოღონდ აკვანში. 32. იყო ასეთი გადაცემა – „ფანტაზია და მარჯვე ხელები"... რა ერქვა ამ გადაცემის „სპიკერს"? 33. ახლა ასეთი კაცი „ქაჯად" მოიხსენიება... გაიხსენეთ მისი ლიტ.ენობრივი სინონიმი. 34. ქალი, რომელიც „პროსტომც მარიას" როლს თამაშობდა. 35. ირინა ალეგროვასთან



## ჟარგონულ-ქართული კროსვორდი

„მოშჩნად" დაკავშირებული მუს. ტემპი.

**შვეულად**: 1. „ძველი ბიჭების" უნივერსიტეტი მთელი თბილისის მასშტაბით. 2. (ბატონი) ხაზანოვი ზოგჯერ „რო ასწორებს" ხოლმე. 3. რა უნდა გამოიცნო „პიკონ" პელშთან? 4. მორწმუნე „ტიპებისათვის" საჭირო პროცედურა. 5. რა ერქვა („ბანძი") კასანდრას პაპას? 6. დიპლომატიური „როჟა". 10. ვენეციელი „მარშრუტკის შოფრების" (იგულისხმება „გონდოლიერები") სიმღერა. 12. ხორბლის შესანახი „ბაითი" (ბაითი – ჟარგონზე რატომღაც ნაგებობას ნიშნავს?!) 15. „პონტის" სხვა სინონიმი. 17. კომუნისტებისათვის „აპასნი" გერმანელი ფილოსოფოსი. 21. ნაპოლეონის კრიჭაში მდგომი ფრანგი პოეტი. 22. ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ლიდერი. 24. ერთი ანარქისტი კინო „კლიენტი". 26. „სვაბოდნი" მცველი ფეხბურთში. 29. ინდოეთის („რამკიანი") პრემიერ-მინისტრი 1947-64 წლებში. 31. რა „ტეხავს" ლუდის („პივის") სმისას?







**დღევანდელი ნომრიდან ვიწყებთ რობერტ იანგის ვრცელი ფანტასტიური მოთხრობის ბეჭდვას სახელწოდებით „როცა დრო იბადებოდა" ("When Time Was New")**

დაბადების დღეს ვულოცავთ შესანიშნავ მოქალაქესა და მოჭადრაკეს, ბატონ ნუგზარ ცხოვრებაშვილს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!
ნათესავები

**...ჩვენ ხელი მიგვიწვდება ინგლისურენოვან კომპიუტერულ კალენდარზე, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან თარიღს მოიცავს. ამ ნომრიდან გვსურს შემოკლებული სახით წარმოგიდგინოთ ეს კალენდარი და აქვე დავძენთ, რომ საქართველოს ყოფისა და ისტორიის ამსახველ ანალოგიური კომპიუტერული კალენდრის შედგენაზე თავად ვმუშაობთ და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მკითხველთა შორისაც ვპოვებთ მხარდამჭერებს და დამხმარეებს.**

*(იხილეთ მე-2 გვერდი)*

## ნახევრად-პოეტურ-შარადული კროსვორდი



**თარაზულად**: **4**.ჩვენის აზრით კაიფეორდი ძველ საქართველოშიც უყვარდათ; ამის დასტურია სიტყვა, რომელიც „ესპანეთში" ელჩად გამწესებულ „დ"იპლომატს გულისხმობს. **5**. ჩვენი სამეზობლო ქალაქი, რომლის დანგრევა კომუნისტ მიწისძვრელებს დააბრალეს.... **6**. კაიფეორდი ჩილეშიც კი უყვართ; აი, მაგალითი – უღაბნო, რომელიც ჩილელმა კომუნისტებმა „მა-მა, მა-მას" ძახილის „შეტევით" (რუს.კ) აიღეს,

**1 ჯერ მეოთხე ასოს დაწერთ,**
**(მოგვანიჭეთ ჩვენ ნება!),**
**მერე დაწერთ სიტყვას, რასაც**
**ფუნქციად აქვს ჩვენება;**
**ბოლოს (რუს.კ.) პორტი გვინდა,**
**რომ ააგეს ჩვენებმა...**
**და მივიღებთ მტანჯველ ტირანს**
**(ჰქონდეს მას შეჩვენება!)**
**2 წუთისოფლად რადგან ცხოვრობ,**
**მზეს და მთვარეს სჭვრეტ რაკი,**
**რადგან ფიქრებს ეძალები,**
**გულს ასკდები ზედ რაკი,**
**რადგან სხვისგან შველას ელი,**
**ან სხვისთვის ხარ მწედ რაკი,**
**კაცი იყავ ნამდვილი და**
**სული გქონდეს ________**
**3 გული დიდხანს ვაწრიალე,**
**დიდხანს ვჭერ და დიდხანს ვგვემე!**
**ქალთა კვალის ძიებაში**
**ტრფობის ბურთზე ჩოგნად ვცემე–**
**ქალებს მაინც ვერ გავუგე,**
**ცოდნა ფუჭად დავიჩემე...**
**და დღეს მიყვარს კინოს ქალი,**
(თანაც) ფრანგ...

## კალენდარი

### 21 აპრილი

– ჩვენს წ.-მდე 753 წელს დაარსდა ქალაქი რომი.
– 1509 წელს ჰენრი VIII გამოცხადდა ინგლისის მეფედ.
– 1960 ბრაზილიის დედაქალაქმა რიო-დე-ჟანეიროდან გადაინაცვლა ახლადაგებულ ქალაქ ბრაზილიაში.
– 1964 წელს **TV BBC 2**-ის ბრიტანეთის არხმა მოქმედება დაიწყო.
– 1967 წელს საბერძნეთის მეფე კონსტანტინე II-ის ხელისუფლება დამხობილ იქნა სამხედრო გადატრიალების შედეგად.
– 1989 წელს 100 000-ზე მეტმა ჩინელმა სტუდენტმა ტიანანმენის მოედანზე სახალხოდ გამოხატა უკმაყოფილება არსებული ხელისუფლების მიმართ.

***ამ დღეს დაიბადნენ:***
– 1896 წ. – ანრი დე მონტერლანი – ფრანგი რომანისტი და დრამატურგი.
– 1915 წ. – ენტონი კუინი – ცნობილი კინომსახიობი.
– 1926 წ. დედოფალი ელისაბედ II.

***ამ დღეს გარდაიცვალნენ:***
– 1699 წ. – ჟან რასინი – ფრანგი დრამატურგი.
– 1910 წ. – მარკ ტვენი

### 22 აპრილი

– 1500 წ. პორტუგალიელმა კონკისტადორმა პედრო კაბრალმა ბრაზილია პორტუგალიის კუთვნილებად გამოაცხადა.
– 1662 წელს მეფე ჩარლზ მეორის მითითებით შეიქმნა ლონდონის სამეფო საზოგადოება, რომელიც შემდგომში მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრი გახდა.
– 1838 წელს პირველმა ორთქლის ძრავიანმა გემმა „სირიუსმა“ 18 დღის ცურვის შემდეგ ატლანტის ოკეანე გადაჭრა და ნიუ-იორკში ჩავიდა.
– 1969 წელს – რობინ ნოქს ჯონსონმა დაამთავრა 312-დღიანი მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

***ამ დღეს დაიბადნენ:***
– 1707 წ. – ჰენრი ფილდინგი – ინგლისელი მწერალი.
– 1724 წ. – იმანუილ კანტი – გერმანელი ფილოსოფოსი.
– 1937 წ. – ჯეკ ნიკოლსონი – თანამედროვე ამერიკელი მსახიობი.

### 23 აპრილი

–1661 წელს ჩარლზ II გამოცხადდა დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის მეფედ.
– 1879 წელს სტრატფორდში გაიხსნა შექსპირის ახალი მემორიალი.
– 1984 წელს გამოშვება დაიწყეს „ახალი ფორმულის“ კოკა-კოლასი.
– 1984 წელს დოქტორმა მარგარეტ ჰეკლერმა ვაშინგტონში აღმოაჩინა შიდსი-ს პირველი ვირუსი.

***ამ დღეს დაიბადა:***
– 1564 წ. – უილიამ შექსპირი.

***ამ დღეს გარდაიცვალნენ:***
– 1616 წ. – უილიამ შექსპირი.
– 1616 წ. – მიგელ დე სერვანტესი
– 1850 წ. – უილიამ უორდსვორტი – ინგლისელი პოეტი.

### 24 აპრილი

– 1800 წ. ვაშინგტონში დაარსდა კონგრესის ბიბლიოთეკა.
– 1895 წ. – მეზღვაურმა ჯოშუა სლოკუმმა სტარტი აიღო ბოსტონში და სრულიად მარტომ სამი წლის განმავლობაში დედამიწას შემოუარა.

***ამ დღეს დაიბადნენ:***
– 1934 წ. – შირლი მაკლეინი – ამერიკელი კინომსახიობი.
– 1942 წ. – ბარბრა სტრეიზანდი.

***გარდაიცვალა:***
– 1731 წ. – დანიელ დეფო – ინგლისელი მწერალი.

### 25 აპრილი

– 1792 წ. – პარიზში პირველად იქნა გამოყენებული გილიოტინა ადამიანის თავის მოსაკვეთად.
– 1859 წ. – დაიწყო სუეცის არხის მშენებლობა, რომლის პროექტი შეიმუშავა ფრანგმა ინჟინერმა ფერდინანდ დე ლესეპსმა.
– 1925 წ. – პოლ ფონ ჰინდენბურგი არჩეულ იქნა გერმანიის პრეზიდენტად.

***ამ დღეს დაიბადნენ:***
– 1599 წ. – სერ ოლივერ კრომველი – ინგლისის სამოქალაქო ომში პურიტანელთა ლიდერი.
– 1918 წ. – ელა ფიტცჯერალდი – ჯაზის დედოფალი.
– 1940 – ალ პაჩინო – ამერიკელი კინომსახიობი.
– 1947წ. იოჰან კრუიფი – ჰოლანდიელი ფეხბურთელი.

***გარდაიცვალნენ:***
– 1595 წ. – ტორკვატო ტასო – იტალიელი პოეტი.
– 1744 წ. ანდრეს ცელსიუსი – შვედი მეცნიერი, რომელმაც ცელსიუსის თერმომეტრი შექმნა.

### 26 აპრილი

– 1937 წ. – ესპანეთის ქალაქი გერნიკა დანგრეულ იქნა გერმანელ ფაშისტთა ბომბდამშენების მიერ.
– 1964 წ. – გაერთიანდნენ ტანგანიკა და ზანზიბარი ერთიანი სახელმწიფოს – რესპუბლიკა ტანზანიის – შექმნის მიზნით.
– 1968 წ. ნევადის მიწისქვეშა პოლიგონზე აფეთქებულ იქნა აშშ-ს ისტორიაში ყველაზე დიდი ატომური ბომბი.
– 1986 წ. – ავარია მოხდა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე.

***დაიბადნენ:***
– 121 წ. მარკუს ავრელიუსი – რომის იმპერატორი.
– 1798 წ. – ფერდინანდ დელაკრუა – ფრანგი ფერმწერი.
– 1889 წ. ლუდვიგ ვიტგენშტაინი – ავსტრიელი ფილოსოფოსი.

## რობერტ იანგი
# როცა დრო იბადებოდა



### პირველი თავი

კარპენტერს არ გაჰკვირვებია, როცა მაღალი გინგკოს ქვეშ მდგომი სტეგოზავრი დაინახა. მაგრამ მან საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, შენიშნა რა, რომ ხეზე ორი პატარა ბავშვი იჯდა. მან იცოდა, რომ სტეგოზავრს ადრე თუ გვიან შეხვდებოდა, მაგრამ ვერაფრით დაიჯერებდა, რომ აქ შეიძლება ვილაც ბიჭუნა და გოგონა ენახა. აბა, წარმოიდგენდა ვინმე გვიანდელ ცარცულ პერიოდში ასეთ არსებებთან შეხვედრას?!

კარპენტერი ავტონომიური კვებით აღჭურვილი ტრიცერატანკის სავარძლიდან წამოიწია და გაიფიქრა – ეგებ ესენი რაღაცნაირად კავშირში არიან სხვა დროისეულ იმ გამოუცნობ წიაღისეულ აღმოჩენასთან, რის გამოსაძიებლადაც იყო იგი გამოგზავნილი დინოზავრების ხანაში? მართალია, მის სენძმა, რომელიც ჟამთასკოპის საშუალებით საჭირო დროსა და ადგილს არეგულირებდა, მას არაფერი უთხრა ბავშვების შესახებ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა. ჟამთასკოპები მხოლოდ ადგილმდებარეობის ერთ დიდ მონაკვეთს აფიქსირებენ, მათი საშუალებით საშუალო ზომის ბორცვის დანახვაც კია შესაძლებელი, მაგრამ იქ არსებულ წვრილმანებს ვერაფრით განჭვრეტ.

სტეგოზავრმა თავისი კუზისებრი უკანა ნაწილით გინკგო ოდნავ შეარხია. ხე შეტორტმანდა და მასზედ მჯდომი ორი ბავშვი ლამისაა ურჩხულის დაკბილულ ზურგზე წამოეგნე. ბავშვებს ისე გასთეთრებოდათ სახეები, როგორც შორეთში აღმართულ ქარაფებს, რომელთა შორის აქა-იქ, პრეისტორიულ მდელოებზე მაგნოლიების, მუხების, დაფნისა და პალმების ტევრები მოჩანდა. კარპენტერი წელში გაიმართა – წინ, სემ! – უბრძანა თავის ტრიცერატანკს – აბა, ვაჩვენოთ მას, რა შეგვიძლია!

სულ რამოდენიმე საათის წინ გამოსცდა იგი დროში შესასვლელ წერტილს და ახლა პირველი სიჩქარით მოძრაობდა, რათა რომელიმე ის კვალი არ გამორჩენოდა, რაც იდუმალი აღმოჩენის ორიენტირებს აპოვნინებდა. გაურკვეველ ანაქრომიზმებს ყოველთვის ასე ემართებოდათ – პალეონტოლოგიური საზოგადოება, სადაც იგი მუშაობდა, როგორც წესი, უფრო ზუსტად ადგენდა საძებარი ობიექტის ადგილმდებარეობას დროში, ვიდრე სივრცეში. კარპენტერმა ტრიცერატანკი მეორე სიჩქარეზე გადართო, მანქანის შუბლიდან სამივე ლულა ამოუშვა და თავხედ სტეგოზავრს პირდაპირ ნერვული ცენტრის ჯვარედებზე დაუმიზნა. „ბახ! ბახ! ბახ!“ – გაისმა პარალიზებადი ჭურვების აფეთქების ხმა და სტეგოზავრის მთელი უკანა ნაწილი მიწაზე დაენარცხა. მისი წინა ნაწილი კი, მიიღო რა ინფორმაცია თავისი მარცვლისოდენა ტვინიდან ხიფათის შესახებ, გვერდით გადმოიხარა და მისმა ლუდის კათხისოდენა თვალმა მისკენ მიმავალი ტრიცერატანკი დაინახა. ამასობაში ურჩხულის წინა პატარა თათებიც ძალუმად ამოქმედდა და შეეცადა ეს ათტონიანი კუზიანი სხეული სამხედრო მოქმედებათა „თეატრის სცენიდან“ გაეყვანა. კარპენტერს ჩაეღიმა – ნელა, ნელა, შე სქელკანიანო! – თქვა თავისთვის – გეფიცები ყველა ტირანოზავრს, რომ გონს მოსვლას ვერ მოასწრებ და მიწაზე გაიშოტები...

კარპენტერმა თავისი მანქანა (სემი) გინკგოდან ათიოდე მეტრის მანძილზე გააჩერა და შეშინებულ ბავშვებს თავისი კაბინის ნახევრად გამჭვირვალე საქარე მინიდან ახედა. ბავშვები ამ სანახაობამ კიდევ უფრო დააფრთხო, რადგან მათკენ მიმავალი მანქანა უფრო მეტად ჰგავდა რომელიმე ტრიცერატოპსს, ვიდრე რომელიმე ნამდვილი დინოზავრი. კარპენტერმა მანქანის სარქველი ახადა, სახეზე მას ზაფხულის ტენიანი პაპანაქება ეძგერა, რაც ერთობ უამური იყო კონდიცირებულ კაბინაში გატარებული დროის შემდეგ. იგი მანქანიდან ამოვიდა. ეი, თქვენ, დაბლა ჩამოდით – დაიყვაირა მან – ნუ გეშინიათ, ველარავინ შეგჭამთ!

...მას მიაშტერდნენ ისეთი ფართე და ცისფერი თვალების ორი წყვილი, როგორიც არასოდეს უნახავს, თუმცა ამ თვალებში კარპენტერის სიტყვების გაცნობიერების ნიშანწყალიც კი არ ჩანდა. ჩამოდით-მეთქი! – გაიმეორა მან – საშიში აღარაფერია! ბიჭი გოგოგნას მიუბრუნდა და ისინი ჩქარა ალაპარაკდნენ რაღაც მღერად ენაზე, რომელიც ისევე ჰგავდა ჩინურ ენას, როგორც პირქუში ნისლი წააგავს წვიმას. თანამედროვე ამერიკულთან კი ამ ენას ისეთივე კავშირი ჰქონდა, როგორიც ამ ბავშვებს გააჩნდათ გარემომცველ პეიზაჟთან. აშკარა იყო, რომ მათ ვერაფერი გაიგეს კარპენტერის ნათქვამიდან, თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ ბავშვები ერთგვარად დააწყნარა მისმა მომღიმარმა, ალალმა სახემ და სიკეთით აღსავსე ხმამ. ერთმანეთთან ლაპარაკს რომ მორჩნენ, თავისი თავშესაფარი მიატოვეს და დაბლა დაეშვნენ. ბიჭი წინ მოდიოდა, გოგონას ჩამოსვლაში ეხმარებოდა... გოგო თერთმეტი წლის თუ იქნებოდა, ბიჭი კი ორი-სამი წლით მასზე უმცროსი. კარპენტერი ჩამოხტა სემის ფოლადის სიფათიდან და ბავშვებს მიუახლოვდა. სტეგოზავრს კი ამასობაში მოძრაობის უნარი დაჰბრუნებოდა და იმ მიდამოს ენერგიულად შორდებოდა. ბიჭს ატმისფერი ფართე პერანგი ეცვა, რომელიც ძალზედ დასეროდა ხეზე ცოცვისა გამო; მისი, ასევე ატმისფერი, ფართე შარვალიც მეტად დასერილი და დაჭმუჭნილი იყო და წვივებამდე ძლივს სწვდებოდა... ფეხზე მას თხელი სანდლები ეცვა. გოგონაც ასეთივე, ოღონდ ცისფერ სამოსში იყო გამოწყობილი, რომელიც ნაკლებად დასვრილი და დალაქავებული იყო. გოგონა ბიჭზე ორიოდე სანტიმეტრით მაღალი და მასავით სუსტი და გამხდარი იყო. ორივეს სახის დახვეწილი ნაკვთები ჰქონდათ და სასაცილოდ სერიოზული თვალებით იყურებოდნენ. ეჭვი არ იყო იმისა, რომ ისინი და-ძმა იყვნენ. გოგონამ სერიოზული თვალები შეანათა კარპენტერს და რამდენიმე მღერადი ფრაზა წარმოთქვა. კარპენტერმა გაუგებრობის ნიშნად თავი გააქნია, მერე ყოველი შემთხვევისათვის ორი-სამი სიტყვა თქვა ანგლოსაქსონურად, ბერძნულად, ქვემოკრომანიონულად, ზემოაშელურად, ძველინგლისურად, იროკეზულად და ხაიანოპორტულადაც კი – ამ ენათა ფრაზები მას სხვადასხვა დროში მოგზაურობისას ჰქონდა შესწავლილი – მაგრამ არაფერი გამოვიდა, ყველაფერი, რასაც იგი ამბობდა, ბავშვებისათვის დოლის ბრახუნი იყო და სხვა არაფერი. უცებ გოგონას თვალები აუციმციმდა, მან თავის პლასტიკურ ჩანთაში ჩაყო ხელი და სამი ცალი, რაღაც მძივისმაგვარი საგანი ამოიღო. ერთი ცალი კარპენტერს გაუწოდა, მეორე ბიჭს მისცა, მესამე კი თავად დაიტოვა. დამაც და ძმამაც მარჯვედ მოირგეს ეს მძივები ყურზე და კარპენტერს ანიშნეს, შენც იგივე გააკეთეო. იგი დაემორჩილა მათს სურვილს და გაერკვა, რომ ეს პატარა მძივები სხვა არაფერია, თუ არა მცირე ზომის მემბრანები. კარპენტერი ერთხანს ეცადა, ეს მემბრანა თავისი ყურისათვის მოერგო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და გოგონამ თავად მიამაგრა ეს ხელსაწყო მის სასმენ ორგანოს.

– ახლა – თქვა გოგონამ წმინდა ინგლისურ ენაზე – ჩვენ ერთმანეთის გავუგებით და შევძლებთ ყველაფერში გარკვევას. კარპენტერი გაოცებული მიაშტერდა – ოჰო?! რა ჩქარა ისწავლეთ ჩვენებური ლაპარაკი?! – არა, არ გვისწავლია – უპასუხა ბიჭმა – ეს მოლაპარაკე მძივები, უფრო სწორად მიკროტრანსლატორებია; მას რომ გაიკეთებ, ყველაფერი იმ ენაზე გესმის, რომელიც თქვენს გონებას მაქსიმალურად მეტ ინფორმაციას აწვდის. – მე დამავიწყდა, რომ ეს მძივები თან მქონდა – განაგრძო გოგონამ – ჩვენთან ამ მძივებს ყოველთვის თან დაატარებენ მოგზაურობისას; თუმცა ჩვენ არცთუ ჩვეულებრივი მოგზაურები ვართ... ეს მძივები მე თან არ მექნებოდა, სწორედ მაშინ რომ არ მოვეტაცეთ, როცა უცხოელებთან ჩატარებული გაკვეთილიდან ვბრუნდებოდი. ასე რომ – სერიოზული სახით განაგრძო გოგონამ – თქვენ თუ წინააღმდეგი არ იქნებით, სჯობს ჯერ გაცნობის ფორმალური მხარე მოგვეგვარებინა... მე მარსა მქვია, ეს კი ჩემი ძმაა – სკიპი; ჩვენი დიდი მარსიდან ვართ. ახლა კი, მოწყალეო ბატონო, ბრძანეთ თქვენ ვინ ხართ და საიდან ხართ?

ადვილი არ იყო კარპენტერისათვის მღელვარების შენიღბვა, რადგან ის, რაც მას უნდა ეთქვა, ბევრად უფრო უჩვეულოდ გაიჟღერებდა, ვიდრე ის, რაც ახლახანს გაიგონა – მე ჰოვარდ კარპენტერი მქვია და დედამიწის წელთაღრიცხვის 2156 წლიდან ვარ, ეს ამ ეპოქის 79 062 156 წლის შემდეგ არის. მერე მან ტრიცერატანკისკენ გაიშვირა ხელი – ეს კი სემია, ჩემი დროის მანქანა. გოგონამ მხოლოდ თვალები დაახამხამა, იგივე მოიმოქმედა ბიჭმაც და... სხვა არაფერი. ასე რომ – თქვა გოგონამ მცირე პაუზის შემდეგ – ჩვენ დავადგინეთ, რომ თქვენ დედამიწის მომავლიდან ხართ, ჩვენ კი მარსის აწმყოდან. იგი დადუმდა და ცნობისმოყვარე თვალებით მიაშტერდა კარპენტერს – თქვენ რაიმე ვერ გაიგეთ, მისტერ კარპენტერ? კარპენტერმა ღრმად ჩაისუნთქა, მერე ამოისუნთქა – გავიგე... ჯერ ერთი არსებობს ისეთი წვრილმანი, რაც ჩვენი პლანეტების მიზიდულობის ძალათა სხვაობაში მდგომარეობს. აქ, დედამიწაზე, თქვენ თითქმის ორჯერ უფრო მეტს იწონით, ვიდრე მარსზე და ჩემთვის სრულიად გაუგებარია, თუ როგორ ახერხებთ ამ პლანეტაზე ასე თავისუფლად გადაადგილებას და, მით უმეტეს, ასეთ ხეებზე ძრომიალს?!

– მესმის, მისტერ კარპენტერ – უპასუხა გოგონამ – ეს სავსებით სწორი შენიშვნაა, მაგრამ თქვენ, როგორც ჩანს, მომავალი მარსის გათვალისწინებით მსჯელობთ, რომელიც ახლანდელი მარსისაგან ძალზედ განსხვავდება. მე მგონი, 79 062 156 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვლებოდა... ჰო, კარგი... ერთის სიტყვით, იმ მარსზე, სადაც მე და სკიპი ვცხოვრობთ, ისეთივე მიზიდულობის ძალაა, როგორც ამ პლანეტაზე. თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ ჩვენმა ინჟინრებმა მრავალი საუკუნის წინ მაშინ არსებული მიზიდულობის ძალა ხელოვნურად გაზარდეს, რათა ჩვენი ატმოსფერო საპლანეტათაშორისო სივრცეში არ გაფანტულიყო... შემდგომი თაობები კი მიზიდულობის ახალ ძალას შეეგუენ. მე მგონი, თქვენი ეჭვები გაიფანტა, ხომ, მისტერ კარპენტერ? და კარპენტერმა აღიარა, რომ მას აღარანაირი ეჭვი არ გააჩნდა. – გვარი თუ გაქვთ – ისევ იკითხა კარპენტერმა. – არა, მისტერ კარპენტერ. ოდესღაც მარსიანელებს ჰქონდათ გვარები, მაგრამ დესენტიმენტალიზაციის შემოღების შემდეგ ეს წესი ხმარებიდან ამოიღეს... სანამ ჩვენს საუბარს გავაგრძელებთ, მე მსურს, მისტერ კარპენტერ, მადლობა მოგიხადოთ ჩვენი გადარჩენისათვის. ეს... ეს ძალზედ კეთილშობილი საქციელი იყო თქვენის მხრივ!

– მიმსახურეთ! – უპასუხა კარპენტერმა – ოღონდ ვშიშობ, რომ, თუ აქ დგომას და საუბარს განვაგრძობთ, მე კვლავ მომიხდება თქვენი გადარჩენა რომელიმე ურჩხულისაგან და არა მარტო თქვენი – საკუთარი თავისაც. მოდით, სამივე სემის კაბინაში შევძვრეთ, იქ უფრო უსაფრთხოდ ვიქნებით, შევთანხმდით? იგი პირველი მივიდა ტრიცერატანკთან, შეხტა მის სიფათზე და გოგონას ხელი გაუწოდა. – სავარძლის უკან, პატარა კარია, შეაღე და იქ, კაიუტაში, თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში. იქ არის მაგიდა, სკამები და საწოლი და კიდევ კარადა, ბევრი გემრიელი საჭმლით... ერთი სიტყვით, კომფორტი არ გვაკლია.

...მაგრამ მარსამ კარში შესვლა ვერ მოასწრო, რომ საიდანღაც ზემოდან უცნაური სტვენა გაისმა. გოგონამ ცისაკენ აიხედა და მისი სახე მიცვალებულისებრმა ფითრმა დაფარა. – ისინი არიან – ჩაიჩურჩულა მან – მათ ისევ გვიპოვეს! და კარპენტერმაც დაინახა პტერანოდონების შავი მფრინავი სილუეტები. ისინი ორნი იყვნენ და ტრიცერატანკისაკენ პრეისტორიული ბომბდამშენებივის მსგავსი პიკირებით ეშვებოდნენ. კარპენტერმა სკიპს სტაცა ხელი, სემზე აათრია და გოგონასთან ერთად შიგნით შეაგდო – ჩქარა, კაიუტაში! – ბრძანა მან, მერე თავადაც ჩახტა მძღოლის კაბინაში და სარქველი მიიჯახუნა. და დროზედაც მოასწრო, თორემ პირველი პტერანოდონი ისე ახლოს იყო, რომ მისი მარჯვენა ელერონი სემის გოფრირებულ ზედაპირს გაეხახუნა, მეორემ კი თავის ფიუზელაჟი გაჰკრა პალეონტომავალს.

... რეაქტიული ძრავების წყვილმა გამონაბოლქვი ჭაულების ორი კვალი დატოვეს...

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## კურიოზები

*- ექიმო, ეგებ რეანიმაციაში წამიყვანოთ?!*
*- არა, ავადმყოფო, ნუ ეწევით თვითმკურნალობას*
*- გითხარით, „მორგში“-მეთქი, ესე იგი „მორგში“!*

*ექიმის მოხსენებიდან:*
*„ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა; სამწუხაროა, რომ პაციენტი ამას ველარასოდეს გაიგებს“.*

◆ ◆ ◆

*ექიმი პაციენტს სინჯავს:*
*- ისუნთქეთ! არ ისუნთქოთ! ისუნთქეთ! არ ისუნთქოთ! ისუნთქეთ! არ ისუნთქოთ! ...გაიტანეთ! შემდეგი!*

◆ ◆ ◆

*ექიმი პალატაში შევიდა და დაინახა, რომ მედდა მთელი ძალით ანჯღრევს ავადმყოფს.*
*- რას შვებით?! გაგიჟდით?! - შესძახა ექიმმა.*
*- მაპატიეთ, ექიმო, მაგრამ დამავიწყდა, რომ წამალი, რომელიც ავადმყოფს მივეცი, დალევის წინ უნდა შემენჯღრია.*

◆ ◆ ◆

*- დია-ა-ა-ხ! თქვენ ნიკოტინის ძლიერი მოწამლულობა გაქვთ!*
*- კი მაგრამ, ექიმო, მე საერთოდ არ ვეწევი?!*
*- ჰო-ო-ო-ო... ეს ძალიან ართულებს დიაგნოზის დასმას?!*

## პოლიგლოტი

მოცემული კროსვორდი უნდა შეავსოთ ინგლისურად. ჯერ შეეცადეთ ლექსიკონის გარეშე გაიხსენოთ საჭირო სიტყვები, შემდეგ კი შეგიძლიათ ლექსიკონსაც მიმართოთ. მათ კი, ვინც ინგლისური არ იციან, შეუძლიათ მე-3 გვერდზე მდებარე კროსვორდი შეავსონ... ან სასწრაფოდ შეისწავლონ ინგლისური ილონა დავიდოვას მეთოდით!



## სკანდინავიური კროსვორდი

თვითმფრინავი | სიმღერა | ძვ.ქართველი ბუმბერაზი | რა უქნეს ქეთოს ლუკებმა? | გერმანელი კაცი | იაპონური პიპია | აზიის სახელმწიფო | თბილისში ძალიან ბევრია | კახური ლანძღვა-მოფერება | ქიასავით დაგრეხილი ასო | ევროპის საზღვაო რეგიონი | ინგლისური ანბანის ასო | ადვილი | თბილისის „დინამოს" კაპიტანი | ჩვენი ისტორიული ძეგლი | გლუკოზის „ფორმა" | (ვან) ვაიდა | (ვან) ვალენსია | ქმედების სტიმულატორი | გველის და ენის კოლეგა | (მან) სიმწუხრე დაარღვია | დედის დარიგება | რუსლან აუშევის საბრძანისი | დღეს ვილიმით (როგორ?) | 12 წერტილის მქონე | ცოტა დავისვენოთ! | საბჭ.კომპოზიტორი (1883-1957) | ნათესავი საბავშვო ნარსადგენი | შილაფლავის ნედლეული | რას უშვება (ის) ტუჩებს? | დედალი | ძვ.ქართული სახელი | ქმედების ნამონაყები | პოეტი ძვ. საბერძნეთში | სიხარულის გამოხატვა | რა უნდა იყოს მშვიდობიანი? | გასართობი დანესებულება | III პირება | რუსი ბოტანიკოსი | ქეთათური მოქანდაკე | მანქიერი თვისება | რუსული ფეხბურთის ლომი | კასრის ინვენტარი | ჰიტლერის ქვეყანა | ერთიც დავისვენოთ! | ქრისტ. წმინდანი | კატის ხმა | ერთგვარი კანფეტი | რუს-მოზღვარალი | უდაბნოს საველე როცა კლიტე ადევს | რბილი ხასიათის ნაძლევი (ქარგ.) | ჯოხებით თამაში | გურიის კურორტი | ტიბეტური ხარი | (ქალბატონი) ელიავა | ედგარ ალან... | სიმღერა სრულდება | საყინულე ქმედება | თოვლის კაცი | ხომ არა? | საქ. რაი ცენტრი | გარეგნული ფაქტორი | მაღლა! | (ბატონი) გუცაევი | არაგვისპირელის მოთხრობა | სალებავის სახესხვაობა | ერთი ერთ თამაშში | რუს.ქალების გვარის ბოლოში | FINISH! FINISH! FINISH! | საძ.მართვისფორმა | შოკოლადი | იაპონური თამაში

ფანტაზია №10 (81) 1998 წ.

### გასული ნომრის პასუხები

(ისტორიული კროსვორდი) *თარაზულად:* 10. იაკობინელები. 11. ... ორდენი. 12. ლედი. 13. ალეპო. 14. ბრეენევი. 15. მირაბო. 16. ტაუერი. 17. ამარი. 19. ბასტილია. 21. იფი. 22. კრუპიე. 23. ფონ. 25. ავეია. 26. ვოლპონე. 29. კრომველი. 31. მელტიმელია. 33. ოჩანი. 34. პირენეი. 35. სალკო. 39. ქიქოძე. 40. იუავი. 41. იდეალი. 42. კანდიდი. 44. კონფორმიზმი. 47. რუზველტი. 49. ინგლისელო. 51. ხურდა. 52. კენტერბერიული. შვეულად: 1. პათეტიკა. 2. როსინანტი. 3. სირანო. 4. რეპერტუარი. 5. რევოლუცია. 6. გოლბერტი. 7. კორეა. 8. უდანაშაულო. 9. უნივერსიტეტი. 18. სკალპი. 20. ლიერეა. 24. ოპრიჩნინა. 26. ვოლტერი. 27. უმანკო. 28. იმპერატორი. 30. იდილია. 32. ეკატერინე. 36. კოლუმბიელი. 37. ჰენდელი. 38. პიერ. 43. დავიდი. 45. ფიგარო. 46. ვინეა. 48. უოუო. 50. იდეა.



მართკუთხა პარალელეპიპედი. 21. ჰენრი – ჰერმესი. 22. ნეკერი. 23. სიუჟა. 24. გრიალი. 25. არომატი. 26. ბურბუშელა. 27. კულუარი. 28. ეზრა. 29. ანონსი. 30. ალფა-ატლასი. 31. ინსულტი. 32. ბანდერასი. 33. ემბარგო. 34. ჰიმალაი. 35. მილიტარიზმი. 36. ლაურა. 37. ტაიგა. 38. რიქმა. 39. ზურნა. 40. ამული. 41. ქორდა. 42. ვვადალაჰარა. 43. ლეტალი. 44. ლენინგორი. 45. ჰამაკი. 46. ავტონომია. 47. მუშამბა. 48. სტიმული. 49. კლერკი. 50. ახმახი. 51. შელი. 52. იხვი. 53. რუბრიკა. 54. აზიზა. 55. სპიცი. 56. კობრა-კონკრი. 57. ბაყები. 58. პაპპა. 59. მაიორი. 60. აზბესტი. 61. სამარხული. 62. ვიგანტი. 63. კობა. 64. აბორტი. 65. ბრის-ბრეღლი. 66. იბარური. 67. ბურგუნდია. 68. სპიტაკი 69. პიპინია ან ჭიჭიკია. 70. პოლიფონიური. 71. ლექსი. 72. ფაიქი. 73. ნარვა. 74. ულისე. 75. ტაქსი. 76. რაიხი. 77. კრიმინალები. 78. მამალი. 79. ნოსტალგია. 80. ლაერტი. 81. კომისრები. 82. საბრალო. 83. პაიჭაძე. 84. ალმა-ატა-ავენტი. 85. ათმინი. 86. ბეჭი. 87. იორი. 88. ნარინჯი. 89. ოფისი. 90. კლიშე.

## საპრემიო კროსვორდი



❶ ნაშთი ან უკვე არარსებული, გამქრალი მოვლენისა.
❷ შეეცადეთ ამოიცნოთ ფოტოზე ნაჩვენები პიროვნება.
❸ სისხლნაკლებობასთან დაკავშირებული ერთგვარი დაავადება.
❹ (ვგავ ვცდებით, მაგრამ...) დღეს ჩვენში სწორედ ასეთი ვითარებაა.

## დამატებითი ქულა

ყოველწლიურად, 13 აგვისტოს, ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე ეწყობა სპეციალური „ზეიმი"... გასულ წელს ამ ზეიმს დაესწრნენ პოლ მაკარტნი და მარტინა ნავრატილოვაც კი. სპეციალური მიწვევის მიუხედავად, აღნიშნულ ღონისძიებას ვერ დაესწრო ბილ კლინტონი. თქვენის აზრით, რა დღესასწაულია ეს?

(თქვენი პასუხი)

**ამ კითხვაზე სწორი პასუხის შემთხვევაში თქვენს ქულათა მარაგს დაემატება ერთი „ოქროს ქულა".**
















## მერვე ტური (20.04-1.05) 100 სიტყვა - პრიზი 100 ლარი



**თარაზულად**: **13**. „კავკასიური" თვისება. **14**. პატარა „ტომარა"... სხეულში. **15**. „ჩალიჩის" უნარსმოკლებული ადამიანის ერთ-ერთი ეპითეტი. **16**. იმედო კახიანის პირველი კინოპერსონაჟი. **17**. **იხილეთ ფოტო**. **18**. **იხილეთ ილუსტრაცია**. **20**. ბილ კლინტონის დაუძინებელი „მტერი". **22**. ქურსალი, რომელსაც ოდესღაც პირდაპირ ვათვალიერებდით. **23**. ქართული სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი. **24**. შეიდთვიანთაგან წარმოქმნილი ნახევრადსალანძღავი სიტყვა. **26**. ქართული ხალხური „მედიცინის" ფუნქციონალური ნაწილი. **28**. რა ეგონათ ლენინის ძეგლის ჩამოგდება კომუნისტურ თვითშეგნებასთან ბრძოლაში (ე.წ. ეროვნულ ლონეებს... უკაცრავად – ძალებს!) **32**. ვინ „ბლატაობდა" ჩანტლაძესთან ერთად ერთ ცკეტჩში? **33**. კაცი, რომელიც ჭადრაკს ჯერ ლიდერობდა, მერე მეთაურად ექცა. **35**. რუსული კლასიკური არქიტექტურის წარმომადგენელი. **36**. ერთგვარი პატარა ჭია. **40**. ათი წერტილი... **41**. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი. **42**. ყოფ.სსრკ-ში ერთი მეამბოხე ეთნიკური ჯგუფის ქალაქი-თავშესაფარი. **44**. ადამიანის და ღორის საერთო „შვილი". **45**. რუსი „болельщик" -ების საყვარელი სიტყვა. **46**. კომპიუტერული ცნება. **48**. მიმართებითი ნაცვალსახელი. **50**. თუ იცით, რა აქვს ბაქოში „ქალწულს"? **52**. „ცივილიზირებულთა" კუბი ან პარალელეპიპედი. **53**. ინსტრუმენტი, რომელიც ლეგენდარული პიროვნების სახელს ატარებს. **56**. რა არის პოეტისათვის „მოჩარდახული ურმები ბოლნისის გზაზე"? **58**. ვინ არის ნაგულისხმები ამ დიალოგში:

– ... - That handkerchief which I so loved and gave thee Thou gavest to ?????

... - No, by my life and soul! Send for the man, and ask him.

**59**. ციური სხეული. **60**. ფილმი ფილიპ ნუარეს მონაწილეობით. **64**. რამაზ ჩხიკვაძის სცენიური პერსონაჟი. **65**. ორთოდოქსალური ეკლესიის მთავარი „მტერი". **67**. ნერვიულობის სახესხვაობა. **68**. (სინიორ) მორო, ახლო წარსულის იტალიელი პოლიტიკოსი. **70**. ერთი თვალებდათხრილი მეფის მშობლიური ქალაქი. **72**. მედიცინის დარგი, რომელიც ასე იშიფრება – „გულს (კაკალს) ამოვაცლიო". **74**. კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოები. **78**. ძველი ქართული სიტყვა-კომპოზიტი, რომელიც ბუმბერაზული აღნაგობის ადამიანის ეპითეტად გამოიყენებოდა. **79**. ავთანდილ მახარაძის სცენიურ-ეკრანული პერსონაჟი. **80**. საფეხურეობრივი დანაწევრება. **83**. ორი-ოთხი წლის ბავშვების საყვარელი სიტყვა. **85**. სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლების უძლიერესი უკრაინელი ძალოსანი. **87**. სახელი კაცისა, ვინც „ჩარი-რამაში" გოგი ქავთარაძეს „ამღერებს". **88**. „ჰიპის" თანამედროვე „ნათესავი". **92**. რა ჩნდება ასპარეზობისას? **93**. **იხილეთ ფოტო** (აპოსტროფი კროსვორდში არ იწერება). **95**. არსენას შესაძლებლობათა გამომჟღავნების საუკეთესო გარემო. **96**. ოპერაცია „ვალის" პროცედურაში მონაწილე მხარე. **98**. კითხვა №92-ის მეორე ვარიანტი. **99**. ახლო წარსულის გერმანელი პოლიტიკოსი. **100**. ახლახანს ჩვენში ხშირად მანიპულირებადი საბიზნესო ცნება.

**შვეულად**: **1**. როგორი პიროვნებაა რობერტ სტურუა... (ან, ვთქვათ, მერაბ ბერძენიშვილი)? **2**. ქალაქი-პორტი ადრიატიკის სანაპიროზე. **3**. რა უნდა იყოს თქვენი აზრით Citellus... ფაუნიდან? **4**. **იხილეთ ფოტო**... **5**. მოწყობილობა, რომელსაც ყოველდღე ვკიდებთ ხელს. **6**. ფილიპინების არქიპელაგის კუნძული. **7**. თანამედროვე რუსი მუსიკოსი-ვირტუოზი. **8**. ვინ შეიძლება ყოფილიყო კინტო დღეს? **9**. „ჩვენი არსობის" ნაწილი. **10**. რა აქვთ საერთო ეგვიპტელებს და აცტეკებს? **11**. რა ერქვა ფუჭად მოლაყბეს ძველად? **12**. გიორგი I-ის

**მონაწილე**

წინააღმდეგ აჯანყებული ერთი პირი. **19**. ჩვენი დედაქალაქის რესტორანი. **21**. რუსი მსახიობი ქალი. **25**. ჰიტლერისათვის არასასურველი პირი. **27**. ვინ „გაწვალეთ" ორ კვირაში ერთხელ? **29**. ვის არის ამ დიალოგის ერთ-ერთი მონაწილე .....

.... - He is justly served; It is a poison temper'd by himself. Exchange forgiveness with me. Mine and my father's death come not upon thee, Nor thine on me. [Dies]

..... - Heaven make thee free of it! I follow thee. I am dead...? **30**. მურმან ლებანიძის ლექსი. **31**. ცნება, რომელსაც ზოგჯერ კორექტირება სჭირდება სასულიერო პირის მეტყველებისას. **34**. ერთი უცნაური გასაღების „მფლობელი" რამ. **37**. საქართველოს დემოკრატიულ აღმშენებლობაში (ერთდროს) მონაწილე ქალაღდი. **38**. ფორმიანი „ლაქია". **39**. დღეს ყველაზე პოპულარული ეგვიპტელი. **43**. ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ბერძნულ სიტყვა „გამოცდილებას" ეფუძნება. **47**. ლავრენტი ბერიას საქმიანობის „დამხმარე ნაგებობა" მოსკოვში. **49**. ფილმი ლიუბოვ ორლოვას მონაწილეობით. **51**. რძეში შემავალი „პროდუქტი. **54**. ორგტექნიკის მწარმოებელი იაპონური ფირმა. **55**. **იხილეთ ილუსტრაცია**... რა თამაშია? **57**. სამხედრო ფორმის შემადგენელი ნაწილი. **61**. ერთდროს ერთობ პოპულარული სერიალი. **62**. ქალაქური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. **63**. თბილისის უბანი, რომლის სახელი უკეთურმა გარემომ შექმნა. **66**. რა უნდა იყოს Rumex erispus - ფლორიდან? **69**. ეჭვის გამომხატველი სიტყვა. **71**. როგორი პრობლემები ჭარბობს დღეს ჩვენს პლანეტაზე? **73**. ნედლეულად ვარგისი და სახმარად უვარგისი ნივთი. **75**. „სამშენებლო" სიტყვა. **76**. სასოფლო მეცნიერება. **77**. ერთი ყოფ. სოციალისტური ქვეყნის კინოსტუდია. **81**. „შუათანა" – გეომეტრიულად. **82**. „ფორდის" ერთგვარი „კოლეგა". **84**. პატარა სიმღერა. **86**. სასუნთქი მილი. **89**. კინოპერსონაჟი, რომელსაც ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი განასახიერებს. **90**. არასრული ქმედების მანიშნებელი სიტყვა. **91**. სოფელი ხარაგაულის რაიონში. **94**. თარაზული №58-ში მოშველიებული დიალოგის „შემქმნელი" პიროვნება. **97**. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე.

### მეშვიდე ტურის პასუხები

*თარაზულად*: 12. კუჭატნელი. 13. ბეკეკა. 14. აბუ საიდი. 16. სმა-ჭამა დიდად შესარგი. 17. ჩიფსი. 19. ანთაძე. 20. დიდრო. 21. შემლილი. 22. რივა. 23. ალერგიული. 25. მარიფათი. 27. გაგრია. 29. უკულო. 30. სიქა. 31. პრიმიტივი. 32. აცრა. 35. მარქსი. 36. ეროტიული. 38. პორტვეინი. 41. გურიელი. 43. ბობი. 44. მინოსი. 45. სცილა. 49. წუმპე. 51. კოწია. 52. სმერჩი. 53. ანალოგე. 56. კირქვა. 57. ბერლანა. 59. პაიჭი. 60. იოდი. 62. შერი (ქერი). 64. ჯორკი. 65. გელოვანი. 68. ბამბა. 71. მერფი. 73. სიბელიუსი. 74. კატეგორია. 77. კონცხი. 78. გრადიენტი. 79. ერუდიცია. 81. გოგი ლოლიძე. 83. ტრილიაჟი. 85. ხიბუა. 88. კიმბერლი. 91. რაპორტი. 94. ფლანდრია. 95. ველასკესი. 96. ბრამანტე. 97. პერონი. *შვეულად*: 1. პულმონოლოგია. 2. მანჭვა. 3. პნომპენი. 4. კლოდ. 5. ხენდრო. 6. მესერშმიტი. 7. ხახამშრალი. 8. სანგვინიკი. 9. სულ. 10. ნანი ბრეგვაძე. 11. ოდისეუსი. 15. მლადე. 18. ლინგვისტი. 20. დულსინეა. 24. რელიქტი. 26. ასპრილია. 28. ნაბიკოვი. 33. რონალდო. 34. წიხლი. 37. ლუმუმბა. 39. ოფსაიდი. 40. ანდრომეთი. 42. უკუნი. 46. ცხავი. 47. ჯოლბორდი. 48. გალია (დანია). 50. პაქტი. 54. კანჯო. 55. მანულისი. 58. რიო-დე-ჟანეირო. 61. ლუბლი. 63. ევესო. 66. ლეხინგი. 67. ნეარე. 69. ათონი. 70. ვეკუა. 72. ფიცხი. 75. ნინო. 76. კოწი. 78. გროფიუსი. 80. ილუზიონი. 82. ოლისეა. 83. ტაპირი. 84. ეოფრეი. 86. ორდერი. 87. რასპე. 89. ბრახ. 90. რიოკი. 92. რამი. 93. იენა.

*საპრემიო კროსვორდი*: 1. მალაზონია 2. აიტმატოვი. 3. დარასელია. 4. მიხალკოვი. (ყველა მონაწილემ გამოიცნო ეს პიროვნებები ასე რომ, ქულათა დამატებას აზრი არ აქვს).

მერვე ტურის პასუხები მოგვაწოდეთ არაუგვიანეს 1 მაისისა

# კროსვორდი ჩვენს ფანჯრებში



**თარაზულად:**

1. ცნობილი ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი; 4. ცნობილი ფრანგი კინომსახიობი; 6. პარკოსანი მცენარე; 11. დროის მონაკვეთი; 12. რამდენიმე ქვემეხის ერთდროულად ხშირი სროლა; 13. ქალაქი-პორტი დიდ ბრიტანეთში; 14. ზოგიერთი მარცვლეული კულტურის გამხმარი ღეროები და ფოთლები; 16. კურკოვანი ხილი; 17. პარაზიტი მწერი; 18. ჯარი, ლაშქარი; 20. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდილო ამერიკაში; 22. ზოგიერთი ბოსტნეული ან ბალახი, რომლის ფოთლებსაც ხარშავენ საჭმელად; 23. VII საუკუნის ტაძარი სამხრეთ საქართველოში, ამჟამად თურქეთშია; 25. მდინარე ბორჯომისა და წალკის რაიონებში; 28. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 29. აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 30. მარცვლეულის საზომი... სხვადასხვა ზომისა (4-5 ფუთი); 32. ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; 34. მეცნიერება სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების შესახებ; 38. საბჭოთა იმპერიის მზვერავი, დახვრიტეს იაპონიაში 1944 წელს; 39. ფრინველი; 40. XIX საუკუნის დიდი ამერიკელი მოჭადრაკე; 41. მაგარი წვეტიანი გამონაზარდი ზოგიერთი მცენარის ტანზე; 46. ქათმისნაირთა რიგის მოზრდილი ფრინველი; 48. ქართული მხატვრული ფილმი; 49. ალ. დიუმას „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 50. ქართული მხატვრული ფილმი; 52. ჭრილიანი ყუთი, რომელშიც ბიულეტენებს ყრიან არჩევნების დროს; 53. აღვირის მორთულობა ოქროსი ან ვერცხლის; 55. გაიძვერული ხერხი, ოინი; 58. ქართველი ფეხბურთელი, ლეგიონერი, ნაკრების წევრი; 59. სოფელი ოჩამჩირის რაიონში; 60. საველე სიმაგრე ბლაგვი კუთხის ფორმისა; 62. დიდი მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისათვის; 64. ფირნიში, ანუ... 66. მცირეალკოჰოლიანი სასმელი; 67. მთათა სისტემა რუსეთში; 69. ცნობილი ილუზიონისტი; 71. მუშაობის ან ენერგიის საზომი ერთეული; 73. ქათმისოდენა უფრთო ფრინველი, ბინადრობს ახალ ზელანდიაში; 75. ქალაქი რუსეთში, ჩუკოტკაზე; 76. სოფელი მარტვილის რაიონში; 78. გამაგრილებელი სასმელი; 81. უგონო მდგომარეობა, რომელიც ღრმა ძილს მოგვაგონებს; 82. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 83. სოფელი ქარელის რაიონში; 84. ვაზის ერთწლიანი ტოტი – ლერწი; 85. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი; 86. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები; 87. გერმანელი ფილოსოფოსი (1724-1804);

**შვეულად:**

1. ღონისძიება მომხმარებელთა, მაყურებელთა მოსაზიდად; 2. ლათინურ ამერიკაში მესაქონლეობის მსხვილი ფერმა; 3. ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 4. სხვისი ბავშვების გამზრდელი ქალი; 5. მოქმედი ვულკანი იტალიაში; 7. სოფელი ონის რაიონში; 8. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ენა; 9. სასტუმრო, სადგომი ტურისტებისათვის; 10. ხმელეთის ყველაზე დიდი ძუძუმწოვარა ცხოველი; 14. ერთგვარი თავსაბურავი; 15. ველური ცხვარი – გავრცელებულია აზიის მთებში; 16. სახელმწიფო ევროპაში; 18. ძალ-ღონე, ილაჯი; 19. იესო ქრისტეს მოციქული; 21. ერთგვარი სისტემის რევოლვერი; 24. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 26. მოუსვენარი, ცელქი; 27. მართლმადიდებლური ტაძარი თბილისში; 31. ქალაქი პოლონეთში; 33. ერთგვარი თამაში, ატრაქციონი; 34. მუსიკალური ნოტის ნახევარტონით დაკვრის ნიშანი; 35. საიდუმლო პოლიციის ორგანო მეფის რუსეთში; 36. ღრუების, კუნთების, ქსოვილების ერთმანეთისგან გამყოფი თხელი ქსოვილი; 37. თოფისწამალი, ანუ... 42. ქალაქი-პორტი ბელგიაში; 43. სახელმწიფო აფრიკაში; 44. პატარა რესტორანი, სასაუზმე; 45. აშშ-ს კოსმონავტი, რომელმაც ფეხი დადგა მთვარეზე (1969 წ. „აპოლონ-12“); 47. ხრახნიანი მოქლონი; 51. პატარა, ჭრელი, მგალობელი ჩიტი; 54. ერთწლოვანი პურეული მცენარე; 55. წვნიანი კერძი; 56. გერმანელი მიკრობიოლოგი; 57. სასწორის თეფში; 58. აზბესტ-ცემენტის საამშენებლო მასალა; 61. ქუსლიანი დიდი ჯამი; 62. ბოსტნეული მცენარე ქოლგოსანთა ოჯახიდან; 63. ვაზის გასხვლისას დატოვებული 2-3 კვირტიანი რქა; 65. ვენეციელი გონდოლიერების სიმღერა; 68. ევროპის ერთ-ერთი სახელმწიფოს ფულის ერთეული; 70. ცხენებშებმული მრავალადგილიანი კარეტა; 72. გარეგნული მიბაძვა, რომელიც ამახინჯებს იმის არსს, რასაც ბაძავენ (გადატანითი მნიშვნელობით); 73. კუდიანი ვარსკვლავი; 74. ქალაქი იტალიაში; 77, თავისებური ცხარე-მჟავე გემოს სითხე, იყენებენ სანელებლად; 79. დიდი ფრინველის ნარნარად, მდორედ ფრენა; 80. კოლოფი, რომელშიც ბეჭედი დევს თავისი ფაქსიმილეთი და იაპონელები სულ თან ატარებენ;

შეადგინა რევაზ ცომაიამ

# დონ ჟუანის აფორიზმები

1. ქალი ერთგულია მხოლოდ ორ შემთხვევაში: როცა თვლის, რომ მისი კაცი სხვას არავის ჰგავს, ან როცა თვლის, რომ ყველა მამაკაცი ერთმანეთს ჰგავს.

2. ქმარს ცოლი უყვარს მანამ, სანამ სხვა ქალს არ შეიყვარებს, ცოლს კი ქმარი უყვარს საფლავის კარამდე, მერე კი სხვა კაცი უყვარს... ასევე საფლავის კარამდე.

3. შეიტყობს რა ღალატის ამბავს, ქალს ჰგონია, რომ ეს ტყუილია, დონ-ჟუანი კი ფიქრობს, რომ მართალია.

4. თუ კაცი ქალისაგან ითხოვს მხოლოდ ერთს, ესე იგი იმ ქალს სხვა არაფერი შეუძლია.

5. ავმა ცოლმა შეიძლება ქმარს მხოლოდ კოპები დაასვას, თვინიერმა კი – რქები.

6. თუ დონ ჟუანმა დაიფიცა, რომ მონასტერში წავა, ესი იგი ეს ქალთა მონასტერია.

7. მრავალი ქალი იმიტომაა დაუმარცხებელი, რომ არავინ ცდილობს მათს დამარცხებას.

8. ღალატისას ქალი ეძებს უკეთესს, მამაკაცი კი - ახალს.

9. როცა ქალი ვარდება ძირს: კავალერი მას ადგომაში ეხმარება, უზრდელი კაცი გვერდით ჩაუვლის, დონ ჟუანი კი მის გვერდით ვარდება.

10. ქორწინება ყველაზე მყარი მაშინ არის, როცა ქმარი ცოლისთვის პირველი კაცია, ხოლო ცოლი ქმრისათვის უკანასკნელი ქალი.

11. ერთგულების შენახვა მის მიმართ, ვინც არ გიყვარს, საკუთარი თავის ღალატს ნიშნავს.

12. ნამდვილად უყვარს არა მას, ვინც გამუდმებით ამბობს – "მე შენ მიყვარხარ", არამედ მას, ვინც გამუდმებით კითხულობს – "შენ მე გიყვარვარ?"

13. ქალი წარმოიშვა მამაკაცისაგან, მამაკაცი კი – მაიმუნისაგან.

14. ზოგიერთი ქალი ისეთი მორცხვია, რომ რცხვენიათ მამაკაცს უარი უთხრან.



15. ცოლი ქმრის მეორე ნახევარია, საყვარელი კი – პირველი.

16. თუ მამაკაცის დანახვისას ქალი თვალებს დაბლა ხრის, ე.ი. ის მას მოეწონა, ხოლო თუ ქალის დანახვისას მამაკაცი ხრის დაბლა თვალებს, ე.ი. მას მოეწონა მისი ფეხები.

17. მამაკაცს შეუძლია უარი თქვას ოცი წლის კავშირზე და არა ოცი წლის არსებაზე.

18. ქალს შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, ოღონდ ზოგიერთს რცხვენია ამის გამომჟღავნებისა.

19. სხვა ქალში ყოველთვის მოგწონს ის, რასაც ვერასოდეს ამჩნევ საკუთარ ცოლში.

20. ცოლქმრული ურთიერთობა ეს არის ყოველდღიური ომი და ყოველღამიური ზავი.

21. პატიოსანი ქალი ეცნობა მხოლოდ იმ მამაკაცს, რომელსაც დიდი ხანია იცნობს.

22. ნუ იტრაბახებ, რომ შენი ცოლი ყველას სჯობს: ქალებს შეიძლება ეწყინოთ ეს, მამაკაცები კი ამაში დარწმუნებას მოისურვებენ.

23. სულელი ქმარი აგინებს ცოლს, ჭკვიანი კი – საკუთარ თავს იმის გამო, რომ მასზე დაქორწინდა.

24. ქმრის ერთგულება ერთ აუცილებელ პირობას საჭიროებს – ცოლი უნდა იყოს ქვრივი.

25. ღირსეული შეფასება იმ მამაკაცისა, რომელსაც ჰყავდა ბევრი ქალი შეუძლია მხოლოდ იმ ქალს, რომელსაც ბევრი მამაკაცი ჰყავდა.

26. ნამდვილი მამაკაცი საჩუქრებს არ ყიდულობს, რადგან იგი თავად არის საჩუქარი.

27. სიყვარულის ცეცხლი უფრო მეტად იგიზგიზებს, თუ მას (ცეცხლს – რედ.) ფულით ავანთებთ.

28. ქვრივი ეს არის ქალი, რომელმაც იმდენ ხანს იცხოვრა ქმართან, რომ იგი მოკვდა.

29. ქალს სურს, რომ უყვარდეს ერთი მამაკაცი, ოღონდ მარადიულად, მამაკაცს კი უყვარს ყველა ქალი, ოღონდ თითოჯერ.

30. როცა მამაკაცი დროის ნაკლებობას განიცდის, მას შეუძლია მხოლოდ უყვარდეს... მეგობრობაზე კი ლაპარაკი ზედმეტია.

# როკ-ენციკლოპედია




## 333 ვარსკვლავი

*ეს ინფორმაცია მოპოვებულია internet-ის საშუალებით და ნომრიდან ნომრამდე ანბანზე გაწყობით შემოგთავაზებთ მომღერალთა ბიოგრაფიებს, დისკოგრაფიებს და ზოგიერთი პოპულარული სიმღერის ტექსტს.*

## 1 - A-HA

### ბიოგრაფია

ეს ნორვეგიული ანსამბლი 1982 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა და შემდეგი მომღერლებისაგან შედგებოდა **Morten Harket** (წამყვანი ვოკალი), **Magne Furuholmen** (ვოკალი, კლავიშიანი ინსტრუმენტები) და **Paul Waakte** (ვოკალი, გიტარა).

სკანდინავიაში გატარებული ხუთი უშედეგო წლის შემდეგ ჯგუფი აშშ-ში გადაბარგდა და კონტრაქტი გააფორმა „უორნერ ბრაზარს“-თან, რასაც მათი პოპულარობის დასაწყისი დაემთხვა. მათი სადებიუტო ფირფიტა **Take On Me** ჯერ ცუდად იყიდებოდა, მაგრამ შემდგომ შესანიშნავი თანმხლები ვიდეოკლიპებისა და დიზაინის საშუალებით ეს ფირფიტა №1 პოპულარობას აღწევს აშშ-ში და მეორე ადგილს იკავებს დიდ ბრიტანეთში.

მათი სიმპათიური გარეგნობა, დახვეწილება და ეკზოტიკური სკანდინავიური აქცენტი ამ ჯგუფის საოცარი პოპულარობის საწინდარი გახდა. კომპოზიციამ სახელწოდებით **The Sun Always Shines** ინგლისის ტელევიზიაში განუზომელი ინტერესი გამოიწვია. ამას მოჰყვა წარმატებით ჩატარებული მსოფლიო ტურნე;

1987 წელს პოლ ვააქტე მიწვეულ იქნა ჯეიმზ ბონდის შესახებ არსებული სერიალების გადაღებებზე მუსიკალურ გამფორმებლად; ხოლო მორტენ ჰარკეტი გადაიღეს ფილმში სახელწოდებით **Kamilla And The Thief.**

### დისკოგრაფია

*Hunting High And Low*

Take on me. Train of though. The blue sky. And you tell me. Here I stand and face the rain. The san always shine on TV. Living a boy's adventure tale. Love is a reason. I dream myself alive
(WEA, AAD, 1985)

*Scoundrel Dais*

Scoundrel days. The swing of things. I've been losing you. October, Manhattan skyline. Cry wolf. We're looking for the whales. The weight of the wind. Maybe, maybe. Soft rains of April
(WEA, AAD, 1986)

**შემდეგ ნომერში წარმოგიდგენთ ABBA-ს**


ი./ს „ფანტაზია“, რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, № 7/1-1811
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
„300 არაგველი“, გუთნის 10, ტელ. 77-64-80
წერილებისათვის – 380003, ალ.ელერდაშვილს, მოკითხვამდე